ხელშეკრულება № 345

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონკურსი №985)

ქ. თბილისი „18“ აპრილი 2013 წ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16 ტელ. 2 26-13-37, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-204862078), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი ჯავახიშვილის სახით და შპს „საქბინრემპროექტი'' (მის: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №67ა, ტელ.: 2 34 34 87, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE09BG0000000298687801, სს „საქართველოს ბანკი“, კოდი BAGAGE22, სკ-201953056) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ჯაფარიძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 10² მუხლის პირველი პუნქტისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის'' საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ –პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“_წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში მდებარე სასაწყობე მეურნეობის „ბაზა 2'' შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის საპროექტო მომსახურება
(CPV კოდი - 71320000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა 11700 (თერთმეტიათას შვიდასი) ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების დასრულება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო დოკუმენტაციის და შპს „საქბინრემპროექტი"-ს საკონკურსო წინადადების შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებს და მიაწოდოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემსყიდველს ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა №16-ში;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებენ: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მრჩეველი - გიორგი ლიპარტია, ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ლაშა მერკვილაძე და ამავე სამმართველოს უფროსი სპეციალისტი – მიხეილ ჩუბინიძე, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს გიორგი გეჯაძე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.07% ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი _ შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ტელეფონი: 2 26-13-37, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-204862078	შპს „საქბინრემპროექტი", მის: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №67ა, ტელეფონი: 2 34 34 87, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE09BG0000000298687801, სს "საქართველოს ბანკი", კოდი BAGAGE22, სკ-201953056

რეკვიზიტები

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: შპს "საქბინრემპროექტი"

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: ალექსანდრე ჯაფარიძე

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

ქ.თბილისი, წერეთლის გამზ 67 ა

საიდენტიფიკაციო კოდი: 201953056

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: (+995) 341061; (+995) 99 576 028

ელექტრონული მისამართი: saqbinremproeqti@Gmail.com

ბანკის კოდი: **BAGAGE22**

ანგარიშსწორების ანგარიში: **№GE09BG0000000298687801**

შპს „საქბინრემპროექტი"–ს

დირექტორი ა.ჯაფარიძე

შპს
"საქბინრემპროექტი"

LTD
"Sakbinremproekti"

№ 7/12 "11" 10 2013 წ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

სატენდერო კომისიას

შპს "საქბინრემპროექტი" დაინტერესებულია მონაწილეობა მიიღოს თქვენს მიერ გამოცხადებულ კონკურსში: ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში მდებარე სასაწყობე მეურნეობა „ბაზა 2"-ის შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება. №985".

გავეცანით წარმოდგენილ ტექნიკურ დავალებას და თქვენი მოთხოვნის შესაბამისად წარმოგიდგენთ ტექნიკურ დოკუმენტაციას და საკონკურსო წინადადებას.

შპს „საქბინრემპროექტი"-ს

დირექტორი ა.ჯაფარიძე

ტელ: 2 34 10 61;

Tel: 2 34 10 61;

საგადახდო დავალება N10

"10" ოქტომბერი 2013 წელი

რეფერენსი

2225520688

გადამხდელის დასახელება: შ.პ.ს. "საქბინრემპროექტი"

ანგარიში (დებეტი) GE09BG0000000298687801 (ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი BAGAGE22

თანხა 50-00

თანხა სიტყვებით

ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შ.პ.ს. "საქბინრემპროექტი"

საიდენტ. კოდი 201953056

მიმღების დასახელება: სსიპ კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) GE52BR0000010591718543

მიმღების ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა"

ბანკის კოდი REPLGE22

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 10.10.13

გატარებულია ბანკის მიერ: 10.10.13

ხელმოწერა

შტამპის ადგილი

გადახდის დანიშნულება: უ/ნ 985 , ქ თბილისში , მუხიანის დასახლებაში მდებარე სასაწყობე მეურნეობა , "ბაზა-2"-ის შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მომსახურება

დამატებითი ინფორმაცია: შემსყიდველი საქ ფინანსთა სამინისტრო ს/კ204862078

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

ბ.ა.

მთ. ბუღალტერი

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
BAGAGE22
375

ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში მდებარე სასაწყობე მეურნეობა ,,ბაზა 2''-ის შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება.

საკონსკურსო წინადადების ფასი

გავეცანით თქვენს მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დავალებას და წარმოგიდგენთ საკონკურსო წინადადების ფასს 11700 (თერთმეტიათას შვიდასი) ლარს .

ფასში ასახულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

შპს „საქბინრემპროექტი"–ს

დირექტორი *ა.ჯაფარიძე*

ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში მდებარე სასაწყობე მეურნეობა ,,ბაზა 2"-ის შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება.

ინფორმაცია დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ

გავეცანით თქვენს მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დავალებას და ვეთანხმებით გამარჯვების შემთხვევაში საკონკურსო პირობების გათვალისწინებით საბოლოო დოკუმენტაცია წარმოვადგინოთ ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

შპს „საქბინრემპროექტი"-ს

დირექტორი *ა.ჯაფარიძე*

ანალოგიური სამუშაოების ნუსხა

პრეტენდენტის დასახელება: <u>შპს „საქბინრემპროექტი“</u>

	დასახელება
1	გალაქტიონის ქ.#11, გორგასალის შეს. #3 დადიანის ქ.#7, მესხიას ქ.#1ᵃ-სა და თხინვალის ქ.#10-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრების პროექტის შედგენა
2	ქ.თბილისში, III მასივის, IX კვარტლის #3ᵃ ავარიული საცხოვრებელი კორპუსის გამაგრება-გაძლიერების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა და მშენებლობის პროცესში საავტორო ზედამხედველობის განხორციელება
3	ქალაქ გარდაბანში ენერგეტიკებისა და აღმაშენებლის ქუჩის კეთილმოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.
4	ქ.თბილისში, ცოტნე დადიანის II მ/რ. საცხოვრებელი კორპუსი #2 და #3 აღდგენა-გამაგრების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა
5	ადიგენის რაიონში, სოფ.ბალაჯურში სადემონსტრაციო ნაკვეთში არსებული რკ.ბეტონის დიდ ფილაში შენობა-ნაგებობების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა
6	ბოლნისის რაიონში, სოფ.ტალავერში სადემონსტრაციო ნაკვეთში არსებული რკ.ბეტონის დიდ ფილაში შენობა-ნაგებობების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა
7	გორის რაიონში, სოფ.ხურვალეთში სადემონსტრაციო ნაკვეთში არსებული რკ.ბეტონის დიდ ფილაში შენობა-ნაგებობების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა
8	ქ.თბილისში, III მასივი, ზემო პლატო მე-14 ავარიული საცხოვრებელი კორპოუსის გამაგრება-გაძლიერების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა
9	ქ.ონში მდებარე კულტურის ცენტრისა და მიმდინარე ტერიტორიის (გიგა ჯაფარიძის სახელობის სკვერის) რეაბილიტაცის-რეკონსტრუქციის პროექტის მომზადებასთან დაკავშირებით მომსახურება
10	ქ.თბილისში, ზემო ფონიჭილის დასახლებაში სამაშველო სამსახურის და გადაუდებელი სამედიცინო სასწრაფო დახმარების შენობის რეკონსტრუაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა

და სხვა....

შპს „საქბინრემპროექტი“–ს

დირექტორი ა.ჯაფარიძე